საქართველოს მთავრობის

დადგენილება №360

2026 წლის 30 ივლისი

ქ. თბილისი

„2026 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 31 დეკემბრის №655 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2026 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 31 დეკემბრის №655 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2025, 470000000.10.003.025549) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „2026 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“:

1. №2 დანართის („იმუნიზაცია“ – პროგრამული კოდი: 27 03 02 02) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 26 200.0 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
1	ვაქცინებისა და ასაცრელი მასალების შესყიდვა	18,800.4
2	სპეციფიკური შრატებისა და ვაქცინების შესყიდვა	176.0
3	პოსტექსპოზიციური ანტირაბიული პროფილაქტიკისათვის ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა	3,945.0
4	გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის შესყიდვა	2,018.6
5	„ცივი ჯაჭვის“ მოწყობილობების/ინვენტარის შესყიდვა და მონტაჟი	400.0
6	აცრა-ვიზიტისა და ექიმის კონსულტაციის მომსახურება	300.0
7	საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებები (მათ შორის, მოკლე ტექსტური შეტყობინებები)	200.0
8	საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრებისა და ამცრელი სამედიცინო დაწესებულებების მხარდამჭერი სუპერვიზია	150.0
9	ნულოვანი დოზით აუცრელი და/ან არასრულად აცრილი ბავშვების მიდევნება	210.0
	სულ:	**26,200.0**.“.

2. №9 დანართის („ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა“ – პროგრამული კოდი: 27 03 02 09) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 26 000.0 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
1	სტაციონარული დეტოქსიკაცია და პირველადი რეაბილიტაცია ოპიოიდების, სტიმულატორებისა და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების დროს	4,200.0
2	ჩანაცვლებითი თერაპიის განხორციელება და ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის მიწოდების (ტრანსპორტირება, ბადრაგირება) უზრუნველყოფა ქ. თბილისსა და რეგიონებში, მათ შორის:	10,479.7
2.1	ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის უზრუნველყოფა	360.0
3	№2 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტით ხანმოკლე და ხანგრძლივი დეტოქსიკაციის უზრუნველყოფა, ასევე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ დროებით საიზოლაციო/საკარანტინო სივრცეში (ქ. თბილისი, აბუსერიძე-ტბელის №11) ჩანაცვლებითი თერაპიის უზრუნველყოფა	300.0
4	ნარკომანიით დაავადებული პირის სავალდებულო მკურნალობა	4,696.0
5	ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვა	5,324.3
6	ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის ტრანსპორტირება, შენახვა და გაცემა ფარმაცევტული პროდუქტის ტრანსპორტირება, შენახვა და გაცემა, პროგრამის ადმინისტრირება	500.0

7	ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების სტაციონარული მომსახურება	500.0
	სულ:	**26,000.0**.“.

3. №12 დანართის („ფსიქიკური ჯანმრთელობა“ – პროგრამული კოდი: 27 03 03 01) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 51 973.0 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	**კომპონენტის დასახელება**	**ბიუჯეტი (ათასი ლარი)**
1	სათემო ამბულატორიული მომსახურება	9,150.0
2	ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია	134.0
3	ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობა	151.0
4	ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენციის სამსახური მოზრდილთათვის	662.0
5	თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება	3,557.0
6	ფსიქიკური აშლილობის მქონე მოზრდილთა ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურება	34,310.0
6.1	მათ შორის, დანართ №12.9-ითა და დანართ №12.10-ით გათვალისწინებული მომსახურებისთვის	32,481.0
7	ფსიქიკური აშლილობის მქონე ბავშვთა ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურება	1,370.0
8	ფსიქიკური დარღვევების მქონე შშმ პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფის კომპონენტი	2,555.0
9	ასერტული მკურნალობის კომპონენტის თანადაფინანსება	84.0
	სულ:	**51,973.0**.“.

4. №15 დანართის („დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია“ – პროგრამული კოდი: 27 03 03 04) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 47 000.0 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	**კომპონენტის დასახელება**	**ბიუჯეტი (ათასი ლარი)**
1	ჰემოდიალიზით უზრუნველყოფა	23,635.0
2	პერიტონეული დიალიზით უზრუნველყოფა	150.0

3	ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების შესყიდვა და მიწოდება	19,500.0
4	თირკმლის ტრანსპლანტაცია	1,100.0
5	ტრანსპლანტაციის საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირების უზრუნველყოფა	50.0
6	ორგანოგადანერგილთა იმუნოსუპრესული მედიკამენტებით უზრუნველყოფა	2,500.0
7	სამკურნალო საშუალებათა ტრანსპორტირება, შენახვა და გაცემა	65.0
	სულ:	47,000.0.“.

5. №17 დანართის („იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა“ – პროგრამული კოდი: 27 03 03 06):

ა) მე-3 მუხლს „დ“ ქვეპუნქტის:

ა.ა) „დ.გ.თ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ.გ.ი“ ქვეპუნქტი:

„დ.გ.ი) მინისტრის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სხვა მედიკამენტების შესყიდვა;“;

ა.ბ) „დ.ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ.ლ) სპინალური კუნთოვანი ატროფიით დაავადებულთათვის მინისტრის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სპეციფიკური მედიკამენტების შესყიდვა;“;

ა.გ) „დ.ნ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ.ნ) დიუშენის კუნთოვანი დისტროფიით დაავადებულთათვის:

დ.ნ.ა) მედიკამენტ „დეფლაზაკორტის“ შესყიდვა;

დ.ნ.ბ) მინისტრის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სხვა მედიკამენტების შესყიდვა;“;

ბ) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 84 853.0 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
1	იშვიათი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მომსახურება	100.0
2	ფენილკეტონურიისა და ფენილალანინემიის ყოველთვიური მონიტორინგი და ამბულატორიული მეთვალყურეობა	110.0

3	იშვიათი ნერვ-კუნთოვანი დაავადების მქონე პირთა ამბულატორიული და სტაციონარული მეთვალყურეობა	1,026.0
4	იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პირთა სტაციონარული მომსახურება	290.0
5	ჰემოფილიითა და სისხლის შედედების სხვა მემკვიდრული პათოლოგიებით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა სამედიცინო მომსახურება, მათ შორის:	440.0
5.1	ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება (გარდა ენდოპროტეზირებისა)	400.0
5.2	ჰემოფილური ართროპათიით გამოწვეული დაზიანებული სახსრის ენდოპროტეზირება	40.0
6	იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტების სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა, მათ შორის:	82,887.0
6.1	გაფანტული სკლეროზით დაავადებულებისთვის თავის ტვინისა და ზურგის ტვინის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია	55.0
6.2	სპეციალურ სამკურნალო საშუალებათა ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის ხარჯები	600,0
	სულ:	**84,853.0**.“;

გ) მე-9 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-12 პუნქტი:

„12. მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის „დ.გ.ი“, „დ.ლ“ და „დ.ნ.ბ“ ქვეპუნქტებით შესყიდული მედიკამენტების ჩამონათვალი და მათი ბენეფიციარებზე გაცემისა და ადმინისტრირების წესი მტკიცდება მინისტრის სამართლებრივი აქტით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 30 ივლისიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**